თბილისის თავისუფალი აკადემია

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში - „აკადემია“) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს აკადემიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის დებულების, პერსონალის მართვის წესის და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა

2.1. სამსახურს წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

2.2. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

ა. აკადემიის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ბ. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

გ. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

დ. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსოანლის კონსულტირება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე;

ე. აკადემიის რექტორის დავალებით პასუხების მომზადება შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული პასუხებისა და კორესპონდენციის სამართლებრივი ექსპერტიზა;

ვ. წარმომადგენლობა აკადემიის ინტერესების დასაცავად სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორაგანოებში;

ზ. აკადემიის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

თ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკადემიის და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;

ი. აკადემიის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

კ. რექტორის სხვა დავალებების შესრულება;

ლ. აკადემიის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მონაწილეობა.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

3.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს აკადემიის სენატი;

4.2. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.